# bavSvis da ojaxis sakonsultacio centri

**ეხმარება ბავშვს, მშობელს, ოჯახის წევრებს, ბავშვთან მომუშავე სპეციალისტებს, ყველას, ვინც წუხს ბავშვის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე.**



PHF

## ბავშვის და ოჯახის საკონსულტაციო ცენტრის მომსახურების მიმწოდებელია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, რომელსაც ბავშვის კეთილდღეობის დაცვის და ინტერესების ადვოკატირების 15 წლიანი გამოცდილება აქვს.

## ბავშვისა და ოჯახის საკონსულტაციო ცენტრი ემსახურება ბავშვებს, მოზარდებს, მშობლებსა და ოჯახის წევრებს. ჩვენი მომსახურება მოიცავს:

- ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებას და ფსიქოდიაგნოსტიკას;
- ბავშვის, მშობლების და ოჯახის სხვა წევრების ფსიქოლოგიურ კონსულტირებას.

**ჩვენი მისიაა** მივაწოდოთ ბავშვებს და ოჯახებს ისეთი მოქნილი და ხარისხიანი მომსახურება, რომელიც მორგებული იქნება მათ საჭიროებებზე, ოჯახში ბავშვის კეთილდღეობის დაცვაზე და მის ჯანსაღ განვითარებაზე.

**ჩვენი ხედვა** – ვიმუშაოთ ოჯახებთან, როგორც ჩვენს აქტიურ პარტნიორებთან მივაწოდოთ მათ ისეთი მომსახურება, რომელიც დაეხმარება გაუმკლავდნენ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რაც განაპირობებს ბავშვის ოჯახში ჰარმონიულ ცხოვრებასა და განვითარებას.

ჩვენ ვეხმარებით ბავშვებს და მოზარდებს, დაძლიონ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემები და სირთულეები; კონსულტირებას ვუწევთ მშობლებსა და ოჯახის წევრებს ბავშვთან და მოზარდებთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ საკითხებზე, რის შედეგადაც მშობლები ეხმარებიან შვილებს სირთულეების დაძლევაში და იუმჯობესებენ მათთან ურთიერთობას.

**ჩვენი ღირებულებები** ემყარება კონფიდენციალურობის სრულ დაცვას და თითოეული ოჯახის უნიკალური კულტურის გათვალისწინებას, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით.

**ჩვენ გვჯერა (გვწამს),** რომ ასაკის, სქესის და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, ყველა ადამიანს აქვს უნარი, ძალა და შესაძლებლობა, რომ გაუმკლავდეს მის ცხოვრებაში არსებულ სირთულეებს, ყველა ადამიანს შეუძლია შეიცვალოს უკეთესობისკენ და მიაღწიოს წარმატებას. ჩვენ არ ვადანაშაულებთ და არ ვაკრიტიკებთ ოჯახებს და სხვა სპეციალისტებს.

## რა შემთხვევაში შეგიძლიათ, რომ მოგვმართოთ:

- როცა შენიშნავთ, რომ თქვენს ბავშვს აქვს ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემა. მაგალითად: აგრესიულად იქცევა, მუდმივად გაღიზიანებულია, უჭირს დაძინება, ესიზმრება კოშმარები, უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა, ჩაკეტილი და პასიურია, მისი აკადემიური მოსწრება უარესდება, სისასტიკეს იჩენს ცხოველების მიმართ, ფიზიკურ ტკივილს აყენებს საკუთარ თავს ან სხვებს, ავლენს მისი ასაკისთვის შეუსაბამო სექსუალურ ცოდნას, უმიზეზოდ შფოთავს, ეშინია და ფრთხება, უმიზეზოდ მოწყენილი და სევდიანია;

- როცა გიჭირთ და გსურთ გაიუმჯობესოთ ურთიერთობა საკუთარ შვილთან;

- როცა თქვენს შვილსა და ოჯახის სხვა წევრს შორის დაძაბული ურთიერთობაა და გსურთ ამ პრობლემის მოგვარება;

ასევე შეგიძლიათ მოგვმართოთ იმ შემთხვევაშიც თუ თქვენი ნათესავის, მეგობრის, ნაცნობის ბავშვს ან მოზარდს აღენიშნება ფსიქოლოგიური პრობლემები და გაქვთ სურვილი მას დაეხმაროთ.



## ვის შეუძლია, რომ მოგვმართოს:

ბავშვებს და მოზარდებს,

მშობლებს,

ბავშვის ოჯახის წევრებს,

ბავშვის ნათესავებს და მის კეთილდღეობაში დაინტერესებულ პირებს,

სპეციალისტებს, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ბავშვებთან და/ან მუშაობენ ბავშვის კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## ჩვენი მომსახურების ფორმა:

ფსიქოლოგის ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობა ბავშვთან;

მშობლების კონსულტირება ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ტრენინგები და კონსულტაციები სპეციალისტებისათვის და მშობლებისთვის.

## მშობლებო, ოჯახის წევრებო, გულშემატკივრებო!

- გაითვალისწინეთ, რომ ბავშვის ან მოზარდის რთული ქცევა უმეტესწილად მისი იმედგაცრუების და გულისტკივილის გამოვლინებაა.
- ბავშვის და მოზარდის რთულ ქცევას ხშირად ოჯახში, სკოლაში, გარემოში არსებული სირთულეები განაპირობებს.
- იყავით ყურადღებით. თუ შენიშნავთ, რომ რაღაც რიგზე არ არის, გაესაუბრეთ ბავშვს და/ ან მოგვმართეთ ჩვენ.
- თუ მარტო ვერ უმკლავდებით, დროულად მიმართეთ პროფესიონალებს დახმარებისათვის.
- გახსოვდეთ, თქვენ მარტო არ ხართ. მსგავსი პრობლემები უამრავ მშობელს აწუხებს. მთავარია თქვენი სურვილი და მონდომება დაეხმაროთ ბავშვს.


დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

თბილისი, ელიშერ მაღალაშვილის ქუჩა #4, ბინა 1
ბავშვთა დახმარების ხაზი: 116 111
ტელეფონი: (00 995 32) 2 421 422
ფაქსი: (00 995 32) 2 421 423

ელ.ფოსტა: info@phmdf.ge

ვებ-გვერდი: http://www.phf.org.ge/

Facebook: https://www.facebook.com/public

healthfoundationofgeorgia